



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

საქართველო | ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
10 ნოემბერი, 2015

საქართველო ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობის რეიტინგში 8 პუნქტით დაწინაურდა და 189 ქვეყანას შორის 62-ე ადგილი დაიკავა. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის 2016 წლის რეიტინგი (Doing Business 2016) ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით აფასებს; მათ შორის არის ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა, რაც ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის განვითარებისათვის არსებითი კომპონენტია. ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობის მხრივ, საქართველოს მოწინავე პოზიცია უკავია რეგიონში (ბელარუსი, სომხეთი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, რუმინეთი, თურქეთი) თურქეთის შემდეგ და რეგიონის საშუალო მაჩვენებელს 32 პუნქტით უსწრებს. რეგიონის საშუალო მაჩვენებელია 94, ხოლო თურქეთი 189 ქვეყანას შორის 36-ე ადგილს იკავებს. მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობის მხრივ მიღწეული პროგრესი გამანაწილებელ ქსელზე მიერთების გამარტივებისა და მიერთების საფასურის შემცირების ხარჯზე მოხდა. გარდა ამისა, საქართველომ ელექტროენერგიის სექტორში გატარებული რეფორმების შედეგად მიიღო და დამტკიცა ქსელის წესები, რამაც ასევე განაპირობა ქვეყნის პოზიციის გაუმჯობესება. მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, საქართველოში ელექტროენერგიაზე წვდომის მოსაპოვებლად საშუალოდ 4 პროცედურა და 71 დღეა საჭირო; ამ შედეგით საქართველო უსწრებს რეგიონის ქვეყნებს (თურქეთის გარდა). ქსელთან მიერთების საფასური რეგიონის ქვეყნებთან შედარებით მაღალია და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის 461.8%-ს შეადგენს.

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი საქართველოში, სექტემბერი*	აშშ ც 5.7 კვტ/სთ
ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი თურქეთში, სექტემბერი*	აშშ ც 5.6 კვტ/სთ
ქართული ელექტროენერგიის საშუალო საექსპორტო ფასი, სექტემბერი*	აშშ ც 4.8 კვტ/სთ
ქართული ელექტროენერგიის საშუალო საიმპორტო ფასი, სექტემბერი*	აშშ ც 6.0 კვტ/სთ
შიდა მოხმარების წლიური ზრდა, კვტ/სთ, 9თ15	5.2%
ექსპორტის წლიური ზრდა, კვტ/სთ, 9თ15	26.6%
ექსპორტის წლიური ზრდა თურქეთის მიმართულებით, კვტ/სთ, 9თ15	50.8%

*საშუალო გაცვლითი კურსი სექტემბერში: GEL/US\$ = 2.3965; TRY/US\$ = 3.0027

საქართველოს ენერგობალანსს სექტემბერში ქვანახშირზე მომუშავე თბოსადგური შეემატა. 13.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე ტყიბულის თბოსადგურმა სატესტო რეჟიმში დაიწყო მუშაობა. თბოსადგურის მშენებლობა საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა (GIG) 2011 წელს დაასრულა. თბოსადგური მთლიანად ადგილობრივ ქვანახშირზე მუშაობს, რაც, თავის მხრივ ტყიბულის ადგილობრივ ეკონომიკურ აქტივობასაც წაახალისებს. 2015 წლის ოქტომბერში კომპანიამ ასევე ხელი მოაწერა განხორციელების ხელშეკრულებას საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან. შეთანხმება ტყიბულში 150 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს. დაგეგმილია, რომ ახალი თბოსადგურიც ადგილობრივად მოპოვებულ ქვანახშირზე იმუშავებს. ენერგეტიკის მინისტრის თანახმად, აღნიშნული პროექტის წინასწარი საინვესტიციო ღირებულება 150-200 მლნ აშშ დოლარის ოდენობით განისაზღვრა. პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ქვანახშირზე მომუშავე თბოსადგური ბუნებრივ აირზე მომუშავე თბოსადგურების მიერ გენერირებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს ჩაანაცვლებს და ბაზარს შედარებით იაფი ელექტროენერგიით მოამარაგებს. თბოსადგურის მშენებლობის დაწყება 2016 წლისთვის არის დაგეგმილი და 2019 წლისთვის უნდა დასრულდეს. მშენებლობას ჩინური სახელმწიფო კომპანია, Dongfang Electric Holding აწარმოებს.

2015 წლის ბოლომდე ენერგეტიკის ბაზარს დამატებით 111 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები შეემატება. წლის ბოლომდე დაგეგმილია დარიალი ჰესისა (108 მგვტ) და დებედა ჰესის (3 მგვტ) ექსპლუატაციაში გაშვება. დარიალი ჰესი ნაწილობრივ დაფინანსებული იყო ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ, რომელმაც ჰესის მშენებლობისათვის 80 მლნ. აშშ

ნინო პაპავა

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

თამარ ქურდაძე

ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298



დოლარი გამოყოფის სახით. დარიალი ჰესისა და EBRD-ს შორის გაფორმებული შეთანხმება პირველი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის შეთანხმებაა ენერგეტიკის სექტორში. დარიალი და დებედა ჰესების სავარაუდო გამომუშავებამ 526 გვტ/სთ უნდა შეადგინოს, რაც არსებული ჯამური ჰიდრო გამომუშავების 6.4%-ს შეადგენს.

საქართველოსა და სომხეთის შორის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს. ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობს მუდმივი დენის ჩანართის მონტაჟი ხაზზე საქართველოს საზღვართან, სომხეთის ქალაქ აირუმში. მონტაჟი 2015 წლის მარტში დაიწყო და ფინანსდება სესხებით, გრანტებითა და საბიუჯეტო სახსრებით. პროექტის სრულ ღირებულებას, 103.3 მლნ ევროს, აფინანსებენ ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), გერმანიის განვითარების ბანკი (KfW), ევროკომისია (NIF), და საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოები. პარალელურად მიმდინარეობს მარნეულის მაღალი ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა აზიის განვითარების ბანკის (ADB) ხელშეწყობით. მარნეულის ქვესადგური იქნება სომხეთსა და საქართველოს ელექტროსისტემების დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც პირდაპირ ხელს შეუწყობს საქართველოდან ელექტროენერგიის ტრანზიტს სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) გეგმავს საქართველოს პირველი ქარის ელექტროსადგურის დასაფინანსებლად გასაცემი სასესხო ხელშეკრულების საბოლოო განხილვას. ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა სავარაუდოდ 2016 წლის პირველ ნახევარში დაიწყება. ელექტროსადგური გორთან ახლოს იქნება განლაგებული. 2015 წლის მაისში, საქართველოს მთვრობასა და EBRD-ს შორის ხელი მოეწერა მანდატის პროექტზე თანამშრომლობისთვის მზადყოფნის შესახებ. ქარის ელექტროსადგურის პროექტს ერთპიროვნულად ფლობს ენერგეტიკის განვითარების ფონდი (GEDF), რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის დასრულების შემდეგ ქვეყნის ენერგობალანსს 20 მგვტ დადგმული სიმძლავრე შეემატება. პროექტის ღირებულება წინასწარი გათვლებით 34 მლნ აშშ დოლარი იქნება, რომლის დიდ ნაწილსაც (24 მლნ აშშ დოლარამდე) EBRD დააფინანსებს სინდიცირებული სესხის სახით. ენერგეტიკის სამინისტროს მიაჩნია, რომ დაგეგმილი ქარის ელექტროსადგურის მაბლობლად დამატებით 200 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების პოტენციალი არსებობს. საქართველოს ქარის მთლიანი პოტენციალი სამინისტროს მიერ 1,300 გვტ/სთ-ით არის შეფასებული, რაც არსებული წლიური მოხმარების 10%-ზე მეტია.

ახლადამუშავებული ჰიდროელექტროსადგურები ესკო-ს ელექტროენერგიას ახალი წესის მიხედვით მიჰყიდებიან. 2015 წლის აპრილამდე, ნებისმიერი კომპანია, რომელიც საქართველოში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფლების მოსაპოვებლად ტენდერში იღებდა მონაწილეობას, ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის მანძილზე ე.წ. ზამთრის თვეებში (ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით) ვალდებული იყო წლიური წარმოებული ელექტროენერგიის 20% ესკო-სთვის მიეყიდა წინასწარ ფიქსირებულ ფასად, რომელიც ტენდერის დროს დადებული შეთანხმებით ისაზღვრებოდა. ეს რეგულაცია ემსახურება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას და ადგილობრივი ბაზრისთვის ადგილობრივად წარმოებული ელექტროენერგიის მიწოდებას ზამთრის თვეების განმავლობაში, როდესაც ჰიდროელექტროენერგიის დეფიციტია და ქვეყანას მისი ჩანაცვლება უფრო ძვირია რესურსით უწყევს. 2015 წლის აპრილის შემდეგ ტენდერში მონაწილე კომპანიები ვალდებული იქნებიან 8 თვის (სექტემბერი-აპრილი) განმავლობაში წარმოებული ელექტროენერგია წინასწარ შეთანხმებულ ფასად მიჰყიდონ ესკო-ს ექსპლუატაციაში გაშვებიდან 15 წლის განმავლობაში. 15-წლიანი ფიქსირებული ტარიფი ასევე ამცირებს რისკის პროფილს ახლადამუშავებული ჰესებისათვის. აღსანიშნავია, რომ ჰიდროელექტროსადგურების წარმოებისა და ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი დანარჩენ 4 თვეზე (მაისი-აგვისტო) მოდის.




ელექტროენერგიის წარმოება, მოხმარება და ექსპორტი

ელექტროენერგიის მოხმარება 2015 წლის სექტემბერში წლიურად 1.7%-ით შემცირდა. ეს შემცირება გამოიწვია პირდაპირი მომხმარებლების (მომხმარებლები, რომლებიც წელიწადში 7 გვტ/სთ-ზე მეტს მოიხმარენ) მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის 36.7%-იანმა ვარდნამ 2014 წლის სექტემბერთან შედარებით. პირდაპირი მოხმარების შემცირების მთავარი მიზეზი იყო „ჯორჯიან მანგანეც“-ის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის 45.2%-იანი კლება. შესაბამისად, კომპანიის მოხმარების წილმა მთლიან შიდა მოხმარებაში 2014 წლის სექტემბრის 10.5%-იანი ნიშნულიდან 2015 წლის სექტემბერში 5.8%-მდე დაიწია. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი მომხმარებლები მთლიანი მოხმარების მხოლოდ 9.6%-ს შეადგენენ, 36.7%-იანი ვარდნის კომპენსირება ვერ მოხერხდა საყოფაცხოვრებო და კომერციულ სექტორში მოხმარების 7.7%-იანი ზრდით. 2015 წლის 9 თვის შიდა მოხმარების ნიშნული წლიურად 5.2%-ით არის მომატებული, ექსპორტი კი 9 თვის განმავლობაში წლიურად 26.6%-ით არის გაზრდილი.

ელექტროენერგიის წარმოება 2015 წლის სექტემბერში წლიურად 7.8%-ით გაიზარდა. წარმოების ზრდა ძირითადად თბოელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ზრდით იყო განპირობებული, რომელიც წლიურად 51.2%-ით გაიზარდა და მთლიანი წარმოების 32% შეადგინა; 2014 წელს ეს წილი 22% იყო. ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებულმა ელექტროენერგიამ სექტემბერში წლიურად 6%-ით იკლო. იმპორტირებული ელექტროენერგიის 100% (45.4 გვტ/სთ) სომხეთიდან შემოვიდა.


ელექტროენერგიის ექსპორტმა 24 გვტ/სთ შეადგინა, რაც წინა სექტემბერთან შედარებით, როდესაც საქართველოს არ განუხორციელებია ელექტროენერგიის ექსპორტი, მნიშვნელოვანი ცვლილებაა. ექსპორტმა წარმოებული ელექტროენერგიის 3.1% შეადგინა. ექსპორტის 100% თურქეთის ბაზარზე გავიდა. 2015 წლის 9 თვის მონაცემებით, ექსპორტი თურქეთის მიმართულებით 50.8%-ით გაიზარდა და 284.0 გვტ/სთ შეადგინა. მთლიანი ექსპორტი 9 თვის განმავლობაში წლიურად 26.6%-ით გაიზარდა და 629.6 გვტ/სთ შეადგინა. ელექტროენერგიის ექსპორტით მიღებული შემოსავალი აშშ დოლარის ნომინალში წლიურად 9.7%-ით არის შემცირებული 2015 წლის პირველ 9 თვეში, საშუალო საექსპორტო ფასი კი 28.7%-ით ნაკლები იყო და კვტ/სთ-ზე 3.7 ცენტი შეადგინა. 2014 წლის 9 თვეში ეს მაჩვენებელი კვტ/სთ-ზე 5.2 ცენტს უტოლდებოდა. მიუხედავად ამისა, 2015 წლის 9 თვის მანძილზე თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი მთლიან საშუალო ფასთან შედარებით მაღალია და კვტ/სთ-ზე 5.1 ცენტს შეადგენს.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარების განაწილება, სექტემბერი 2015




* 2014 წლის სექტემბერში ექსპორტი არ განხორციელებულა
წყარო: ესკო



ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

2015 წლის სექტემბერში, ელექტროენერგიის ფასმა საქართველოში დოლარის ნომინალში წლიურად 1.1%-ით დაიკლო, ლარის ნომინალში კი 35.8%-ით მოიმატა. ამის მიზეზი დიდწილად ლარის 37.3%-იანი წლიური გაუფასურება იყო დოლართან მიმართებაში. თურქეთში ელექტროენერგიის ფასები თურქული ლირის ნომინალში არ შეცვლილა, თუმცა დოლარის ნომინალში წლიურად 26.8%-ით შემცირდა, რაც ასევე თურქული ლირის გაუფასურების დამსახურებაა დოლართან მიმართებაში.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასები, ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, EPIAS



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტი & ტაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი & ტაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი & ტაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის მუხლდება, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებს და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როგა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლად, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი & ტაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადრ რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოკლებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილუდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი & ტაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტიციის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი & ტაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის მიხედვით მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი & ტაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადრ ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი & ტაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულ რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ან ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი & ტაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი & ტაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საგრძნობლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი & ტაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარება კომპანიებთან, რომლებიც მოცემული არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტი & ტაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდიდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მონისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევის დეპარტამენტის უფროსი

ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი

ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი

ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი

გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

ანალიტიკოსი

დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

ანალიტიკოსი

დავით ნინიკელაშვილი | dniniklashvili@gt.ge

ანალიტიკოსი

თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

გალტი & ტაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge